№ 136 9 მკათათვე, კვირა 1866—1878 9 მკათათვე, კვირა № 136

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაღოვის სახლ-ში, № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაღოვის სახლებში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

მიიღება ნახევარი წლის ხელის-მოწერა გაზეთს

## „დროებაზე“

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (პირველ ივლისიდამ პირველ იანვრამდინ 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპეიკი.

**ხელის-მოწერა მიიღება:** თფილისში, (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაღოვის სახლებში, № 8). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

## ტელეგრამმები

**პეტერბურღის ბირჟა, 8 ივლისს**

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემის — | 97 | 50 |
| მეორესი — — — — | 96 | 37 |
| მესამესი — — — — | 96 | „ |
| მეოთხესი — — — — | 96 | „ |
| აღმოსავლეთის — — | 95 | 75 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი— | 7 | 81 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გიროს ფურცელი— — | „ | „ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 238 | „ |
| მეორე სესხის — — — | 237 | „ |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი— | 25—50 | პენსი |
| ამსტერდამი— | 128—50 | ცენტი |
| ჰამბურგი— — | 217— „ | პფენიგი |
| პარიჟი — — | 267—50 | სანტიმი |

## საქართველო

### დღიური

⁂ ამას წინათ „დროებაში“ იყო დაბეჭდილი ახალქალაქიდამ (ახალციხის) მიღებული კორრესპონდენცია, რომელიც გვაცნობებდა, რომ ამ უეზდის ერთს სოფელში მილიციონერებისათვის კენჭის-ყრის დროს ცოტაოდენი რაღაც უწესოება მოსულა, სოფელს გამოუცხადებია, რომ კენჭით არ გვინდა გასვლაო.

იმ გარემოებიდამ, რომ ამ საქმის შესახებ, მას შემდეგ არაფერი ამბავი არა მიგვიღია-რა ჩვენის ახალქალაქელის კორრესპონდენტისაგან, ჩვენ ის დასკვნა გამოგვყავს, რომ ეს საქმე იქ მშვიდობიანად გათავებულა. გაზეთი „ობზორი“ გვაცნობებს დღეს, რომ ამ საქმის გამოსაკვლევლად უფ. თფილისის ღუბერნატორი წასულა ახალქალაქისაკენ.

⁂ ვერის უბნის რამდენისამე მცხოვრებისაგან მივიღეთ ჩვენ საჩივარი, რომ მას შემდეგ რაც ეს სანიტარული კომიტეტები დაარსდაო და ქალაქის ქუჩებში და სახლების ეზოებში ნაგვის დაყრა მოსპობილიაო, თითქმის მთელი ქალაქის ნაგავი ყოველ ცისმარე დღეს ვერის მინდორზე გამოაქვთ, აქ ჰყრიანო და ამისაგან ჩვენკენ საძაგელი სიმყრალე დგას, ჰაერი გაფუჭდა და, უეჭველია, რამე საშინელი ავათმყოფობა გაგვიჩნდებაო.

ამის გამო ვერელები თხოულობენ, რომ გაანთავისუფლოს ქალაქმა ეს უბანი ამ სიმყრალისაგან და ქალაქის ნაგავი სადმე სხვაგან ქალაქის წრეს გარეთ გადაატანინონ.

სრულიად კანონიერი მოთხოვნილებაა... მაგრამ რამდენი ამისთანა კანონიერი მოთხოვნილება რჩება უყურადღებოდ!..

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ მთელი პირველი გამოცემა ჩვენი უკვდავი პოეტის ნ. ბარათაშვილის ლექსებისა სულ ერთიანად გაჰყიდულა.

იმედი გვაქვს, რომ ამ წიგნის გამომცემლები მეორე გამოცემას არ დაგვიგვიანებენ.

მაგრამ ძალიან კარგი იქნება, რომ მეორე გამოცემაში ჩაურთონ შემოკლებით მაინც ავტორის ბიოგრაფია და ზოგიერთი სხვა თხზულებები (ამბობენ, სხვათა შორის, რაღაც ტრაგედია დარჩე-

## ფელეტონი

### ხვედრი

ვიშ ამა ველსა ლაზათიანსა,
ზანაპირ მთებსა მწვანე ტყიანსა
ამ მდინარესა მტკვარსა ხმიანსა!
აქ როგორ ჰხედამს კაცი ზინსა?!

—

ნაბად მოსხმულნი გუშაგნი მთანი
ყარაულობენ უბიწო ველსა;
ასე, მამანი ჭაღარა თმანი,
უდარაჯებენ ქალწულსა წრფელსა.

—

ნებას აძლევენ სუ[illegible]ითა ხენი
მას ეარშიყონ ცქვიტნი წყარონი.
რადგან ვერ ჰძლევენ კლდის ნორჩი ძენი,
„მსიყვარულონ კეკლუცს ცვარონი.“

—

ასე ფიქრობენ მოხუცნი ძველნი,
და სხვა მუსაიფს მიეცემიან;
ჩიბუხსა სწევენ უძლურნი მცველნი,
იმის კომლითა ილრუბლებიან.

—

უძრავთ დროთ შვილთა თვის უძრაობა
მცნებად ამ დროსაც შემოჰყოლიათ,
და ბატონური თვისი თანხმობა
აუცილებლათ აქაც ჰგონიათ.

—

გაზაფხულია. გაყინულება
სხივს ვერ იცილებს—სითბოთი დნება,
და საცა ფართო ზღვა ეგულება,
მდინარე მისკენ მიედინება.

—

შეუპოვარნი ჩამოჩანაკადნი
ველს მიჯნურებას აგრძნობინებენ;
მოძრაობაში თვითონ ნაზარდნი
მოძრაობასა ანატრინებენ. . .

—

ქალიც შეღერდა,—ბადრი მთვარეა,
მუქავთ იმედი ძუძუთ-შვილია;
მათგან აზრდილი მზისა დარია;
მშვენიერების ვარდი შლილია!

—

აი, ძიძანიც ემზადებიან,—
შესამოსელსა კაბას უკერვენ;
რადგან მშვენიერ ქორწილს ელიან,
მძიმე გუთნითა გვირისტს უჩვევენ.

—

ნიაო), რომელიც, უეჭველია, მოიპოება ჩვენში ბიოგრაფიის შედგენა მით უფრო საჭიროა ახლა, რომ ჯერ ჩვენში კიდევ ცოცხალნი არიან ამ ნიჭიერ პოეტის ცნობნი და ნათესავები (თ. გრ. ორბელიანი, სიძე იმისი და სხვ.), რომელთაგან ადვილად შეიძლება შეკრება ამისათვის საჭირო ცნობებისა. . .

*** თფილისელ თვალის ექიმს უფ. რეიხს გამოუკვლევია აქაური სასწავლებლების შაგირდების თვალები და ამ გამოკვლევიდამ ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ქართველ და სომეხ ყმაწვილებში თითქმის უფრო მომეტებული ბეცები და ბრუტიანები არიან, ვიდრე სხვა ტომის ყმაწვილებშიო.

ამ გარემოების მიზეზათ უფ. ექიმს რეიხს, სხვათა შორის, ის მოჰყავს, რომ არც ერთი თფილისის სასწავლებელი — გიმნაზიები და განსაკუთრებით პანსიონები — რიგიანათ არ არიან განათებულნიო არც დღისით და არც ღამითაო. უფ. მანდინოვის პანსიონში, მაგალითად, დოქტორ რეიხს უნახავს, რომ ოც-და-თორმეტ ყმაწვილს მხოლოთ ერთი უბრალო ლამპა ჰქონდათ და ისე ჰკითხულობდნენ წიგნსაო.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მთავრობა მიაქცევს ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღებას... სხვა გვარი დამახინჯებაც გვეყოფა ამ პანსიონებისაგან; თვალებს მაინც რაღათ უფუჭებენ ჩვენს შთამომავლობას!...

*** ჩვენ ხშირად გვესმის ხოლმე საჩივარი ჩვენის სამღვდელოებისაგან, რომ სასულიერო წიგნების შოვნა ერთობ გვიჭირსო; სანამ მ. ცანციევი ცოცხალი იყო, მანამ ვიცოდით, რომ იმას ებარა ეს წიგნები, მივდიოდით და ვყიდულობდითო. მაგრამ ახლა ხან ერთს მღვდელს აბარია ეს წიგნები, ხან მეორესო და ჩამოვდივართ ქალაქში, მთელი კვირაობით აქა-იქ ვეთრევით და ვერ გვიშოვნიაო. სოფლიდამ კიდევ არ ვიცით — ვის მივმართოთ, ვისგან დავიბაროთ ეს წიგნებიო.

ამ გაჭირების დასახმარებლად ერთი სრულიად უბრალო საშუალებაა: სასულიერო მთავრობამ ყველა საჭირო სასულიერო წიგნები მიაბაროს თფილისის ერთს რომელსამე წიგნის მაღაზიას გასასყიდლად და ამასთანავე გაზეთებში გამოაცხადოს, რომ წიგნები ამა-და-ამ წიგნის მაღაზიაში და ამ ფასად ისყიდებაო.

*** რამდენიმე პირი, რომელნიც ხუცუბანში იწერენ ჩვენს გაზეთს, საჩივარს იწერებიან, რომ გაზეთის ნომრები თავის დროზე არ მოგვდისო.

ამ გარემოებას ჩვენი ფოჩტის გამგეობის საცნობელად ვაცხადებთ, რადგან ეს პირ-და-პირ იმას შეეხება და პასუხიც იმას მოეთხოვება. ჩვენკი მდუამ დღე ოზურგეთით ვგზავნით ხუც-უბანში გასაგზან გაზეთებსა.

*** ახალციხიდამ გვწერენ შემდეგ ამბავს:

„გავლილ კვირებში აქ ერთი შემთხვევა მოხდა: ერთი ახალციხელი ურია, სახელად ისაკა ანტოშვილი, რომელიც შარშან რუსეთამ კანვოით მოეყვანათ, ხაშურის ახლოს მგზაერობის დროს, გარდაეყრება ს. ზალინიშვილის და ა. ვარძელაშვილის საქონელს ურმებით მომავალს. მეურმეებს მოაცდევინებს, ვაჭართან მოქონებულს წიგნს წაართვამს და ეტყვის: ეს საქონელი ჩემი არის, მე ამისთვის მოვდიოდიო!

„გამოუძღვება, მოიტანს ახალციხეს და ერთ ნაქირავებელ სახლში შეალაგებს და დაუწყებს გულ-დამშვიდებით გაყიდვასა. მაგრამ ჯერ სომხებმა იპოვნეს თავიანთ ნიშნის საქონელი და მერმე ს. ზალინიშვილმა.

„ამისობაში ურია ისხაკამ მოსხრიკა და გაიქცა ურავლის მხარეს. დაადევნეს კაცები, დაიჭირეს სატალახოს ხეობაში, საფარის პირ-და-პირ და შეასკუპეს საპყრობილეში. მაშინ პოლიციის საშუალებით, როგორც იყო შეკრიფა გაყიდულები ვაჭრებისგან და უკანვე დაიბრუნა ს. ზალინოვმა, რაც გამოეთქმევინებინა იმ ურიისათვის, რაც არა და დაჰკარგა, ვგონებ ასე 40 თუმნამდის.“

## „დროების“ კორრესპონდენცია

თელავი, 3 ივლისს. დიდი ხანია თელავიდან არარაფერი შესანიშნავი აღარ დაბეჭდილა „დროებაში“. ეს იმისაგან კი არ მოხდა, რომ კორრესპონდენტს ეზარებოდეს წერა. არა; მიზეზი ის გახლავთ, რომ ეს ქალაქი თავის უეზდითურთ ძალიან განათლებაში შევიდა: ყველა ჩინოვნიკმა, ყველა მოხელემ კარგათ შეიტყო თავისი მოვალეობა და უნაკლულოთ ასრულებენ თავის მოვალეობას. . .

შიგ თელავში სრული მშვიდობიანობა არის; უწინდებურათ კრივი და თავ-პირის მტვრევა მოისპო. ქალაქი ფანრებით გაჩაღებულია, ქუჩები სუფთა, საყასპოები ქალაქს გარეთ გაიტანეს; ყველა ხორაგი იყიდება ტაქსით და წესიერებაც ეს არის!

სოფლებში ახლად ამორჩეულნი სუდია-მამასახლისები თავიანთ წინა მოადგილეებსა ჯობიან მსჯელობაში და თანამდებობის ასრულებაში; სახელმწიფო ხარჯები იკრიფება ძალიან მარჯვეთ; დრუჟინები გაყვანაზედ წინააღმდეგობა არავის უჩვენებია, როგორც სიღნაღის უეზდში მოხდა; ვისაც კი ერგო კენჭი, გაუდგა გზასა; ბევრმა უკანჭოთაც გამოაცხადა სურვილი ჯარში წასვლისა, მაგალითად სოფელს ქვემო-ხოდაშენში და სხვ.

ამ დღეებში პალაურულმა გლეხმა უნებურათ მოჰკლა თოფით თავისი მეზობელი მაზანაშვილი.

---

ქაბაც გათავდა; ტანზე რთულია,
ძვირფას მარცვლებით მოფენილია.
მიჯნურის მლოდი ყოველად სრულია,
მცისა ნამითაც დაცრემლილია.

—

სალამოთ ველი ფუფუნებული
დედოფლად არის დატოვებული...
მოწმად მთვარეა მინაზებული
და ბევრი მთა მიძინებული...

—

ფერდობზე მუშის დარბაზი ძველი,
სიღარიბისა ერთგულად მცველი,
ძლივს იგულისხმებს: „მხოლოდ ეს ველი....
„შენგან თუ არა, სხვისგან რას ველი!..“

—

ტურფაც განთიადს იგულისხმებდა,
ორთოლით ლოცვასა მიეცემოდა;
სუფთა სიზმრებსა გაიხსენებდა,
თვის ქალწულებას ესალმებოდა:

—„დედავ ბუნებავ! მხოლოდ შენს ნებას,
„შეუცვლელსა და მაღალ წესდებას,
„მე შევუერდებ ჩემთ გულის თქმათა
„და ვემონები წმიდა გრძნობათა!“

—

—„მოლოდინს ნეტარს, დიდს აღელვებას,
„შენ მაგრძნობინებ სიყვარულებას;
„თვარა ვინ მაძლევს გაბედულებას,
„წინა-აღუდგე მთათ უძლურებას?!..“

—

ამისებრ სხვასაც აღსარებასა
უმანკო უძღვნის უკვდავებასა...
მარად იგონებს მუშაკობასა,
ძიძათ უგზავნის ამბორებასა..

—

გაირაქრაქა ხევდრის ნიშანმა,
ფერი იცვალა ქალწულებამა;
ველი უხსენა მუშაკს სიზმარმა,
მთას ლალატობა მოხუცებამა?!.

—

აგერ, გამოჩნდა მარდი მამაცი,
სახელად მტკვარი, ჭაბუკი კაცი;
მთისა-მთის შუა იგი გამოსხლტა,
ამ დროს გვირგვინად მზეცა ამოხდა.

—

მეფემ დედოფალს ხელი ჩასტაცა,
დიდ მნათობისკენ ის გაიტაცა.
აშიკნი ტკბილათ იკოცნებიან,
მზისა სხივებით ისხურებიან.

—

ორთავ გარბიან, შეჩერდებიან,
იკოცნებიან, ისევ გარბიან. . .
მთანი მიზდევენ, ურისხდებიან,
ჩამომავლობას ემუქრებიან. . .

ი. ტ—ი.

ამ დღეებში აქ ერთი ახირებული ამბავი მოხდა:

ორს დედაკაცს ჰქონდათ დავა ერთს დღის მიწაზედ, რომელიც ერთს მოეხნა და მეორეს პური დაეთესა. გამოძიება აქვს მინდობილი თელავის სუდიის გამომძიებელს, რომელმაც საქმის გარემოების გამოსაკვლევად დანიშნა სწორეთ ის დრო, როდესაც იმ მიწაზე მოსული პური იყო მომკილი მოდავე პირებისაგან სანახევროთ და ელოდებოდნენ—თუ ვის სასარგებლოთ გათავდებოდა გამოძიება.

დანიშნულს ვადაზედ ორნივე გამოცხადდნენ გამომძიებელთან. ერთმა მათგანმა გაბედა ტყუილი და მოახსენა გამომძიებელს:

— მე დღეს აქ ყოფნა არ შემიძლიან, ბატონო, უნდა დამითხოვოთ, რადგანაც შვილი მომკვდომია სხვა ქვეყანაში და ურმით მოაქვთო!

გამომძიებელს მართალი ეგონა, და დაითხოვა. ეს ქალი საჩქაროთ წავიდა მომკილ ყანაში და, მანამ იმის მოდავე ამ ამბავს შეიტყობდა, ძნა სრულებით თავის სახლში მოიტანა!

გამომძიებელს შეუტყვია ეს სიცრუე და არ ვიცით—რას აპირებს.

პუკი

# ომის შემდეგ

## ბერლინის კონგრესი

გუშინდელს „დროებაში“ დაბეჭდილი იყო ბერლინის მორიგების პირობის პროექტი. ნამდვილი პირობა, ყველა სახელმწიფოებისაგან ხელ-მოწერილი და დამტკიცებული ჯერ არსად არ არის დაბეჭდილი.

ამ პირობის პროექტიდამ ეტყობულობთ, სხვათა შორის, რომ რუსეთს დარჩენია: ბათუმი, ყარსი, და არტაანი; ბაიაზეთი და ალაშქერთის მაზრა რუსეთმა ისევ უკან უნდა დაუბრუნოს ოსმალეთს.

საქმე იმაშია ახლა, როგორც იწერებიან, ოსმალეთი აიძულონ, რომ ამ პირობებზე დათანხმდეს და თავის უარისთქმით კიდევ ერთხელ არ ატყდეს ბრძოლა და სისხლის ღვრა. ამ განზრახვით, ამბობენ, სტამბოლისაკენ გაგზავნილი იქნება ევროპის უმთავრესი სახელმწიფოების სამხედრო ხომალდები; რომელნიც ოსმალეთის მმართებლობის შესაშინებლად სტამბოლთან იქნება გაჩერებული, სანამ ის ყველა პირობებს არ შეასრულებს, რომელნიც ამ ბერლინის კონგრესმა დასდვა.

—

ვენიდამ იწერებიან ერთს უცხო ქვეყნის გაზეთში, რომ ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ოსმალოები და ქრისტიანები შეერთდნენ და პირობა დასდვესო, რომ ავსტრიის ჯარი არ შემოუშვათ ჩვენს ქვეყნებშიო. მაგრამ როდესაც ოსმალეთის მმართებლობას ბრძანება გამოუცია, რომ ამ ქვეყნებში ოსმალეთის ჯარიც დარჩება და ავსტრიელები როგორც მეგობრები, ისე შემოვლენო, მაშინ კი დაწყნარებულან და ახლა ავსტრიის ჯარს არავითარ წინაალმდეგობას აღარ გაუწევენო.

ჩვენ ვერ გაგვიგია—ოსმალეთის ჯარი როგორღა დარჩება ბოსნიას მაინცა, როდესაც, ბერლინის კონგრესსის გარდაწყვეტილებით, ეს პროვინცია ოსმალეთმა სრულებით უნდა დაუთმოს ავსტრო-ვენგრიას.

—

„პოლიტიკურს კორრესპონდენციაში“ იწერებიან არზრუმიდამ:

„აქაური რუსის გარნიზონი ორ ნაწილად არის გაყოფილი: ერთი ნაწილი აზიზიესა და მეჯიდიეს ციხეებში დგას და მეორე არზრუმის სამხრეთით ცალკე ბანაკებში. რუსები მა უკანასკნელ დროს გაცხარებულად და საჩქაროდ ამზადებენ არზრუმს; ეს საქმე მინდობილი აქვს ინჟინერის ღენერალს რერბერგს, რომელსაც იქ „კავკასიის ტოტლებენს“ ეძახიან. ამ ჟამად არზრუმის ციხეებზე 82 ზარბაზანი აქვთ რუსებს. მთელი ჯარის უფროსად ღენერალ ლაზარევი, რომელმაც იყიდა 6,400 ურემი და 2.400 სული საქონელი, როგორც ამბობენ იმ შემთხვევისათვის, თუ ხელახლად ომი ატყდა, რომ ტრაპიზონისაკენ გასწიოსო.

„ამ ორი თვის წინათ არზრუმში 12,000 ავათმყოფები იწვა; ახლა 1,500 კაცი თუ იქნება დარჩენილი რუსეთში და კავკასიაში გაგზავნეს. რუსები ენერგიულად ცდილობენ ქალაქის გაჯანმთელებისათვის.“

—

### კიპრი

გაზეთს „Indép. Belge“-ში დაბეჭდილია შემდეგი ცნობები კიპრის კუნძულზე, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ინგლისმა მიიღო ოსმალეთისაგან:

„კიპრის კუნძული მდებარეობს ხმელთა-შუა ზღვის ბოლოს, მცირე აზიისა და სირიის მახლობლად. ის შეიცავს სულ სიგრძით 200 ვერსსა და სიგანით 40 ვერსს. მაშა სადამე სივრცით დიდი არაფერი; მაგრამ მაგიერად პოლიტიკურისა და სტრატეგიულის მხრით ამ კუნძულს დიდი მნიშვნელობა ექნება ინგლისისათვის· რადგან დასავლეთით ინგლისს გიბრალტარი ეკუთვნის შუაში მალტის კუნძულით და ახლა აღმოსავლეთით ეს კიპრის კუნძულიც ჩაიგდო ხელში, ამის გამო ინგლისი მთელი ამ ხმელთა-შუა ზღვის ბატონად ხდება.

„კიპრის წყალობით მთელი მცირე აზიის ვაჭრობა ინგლისის ხელში გადავა. ამას გარდა დღეის შემდეგ ეგვიპტეც სრულს დამოკიდებულებაში იქნება ინგლისისისაგან.

„ადრე კიპრი ძალიან მდიდარი ქვეყანა იყო; თუმცა ქვეყანა ახლაც მდიდარია ბუნებით, მაგრამ ხალხი კი ძალიან ღარიბი. ოსმალეთს იქიდამ მუდამ წელს ერთი მილიონ ნახევარი ჰქონდა შემოსავალი. ინგლისი რა საკვირველია, ერთი-ორად, ერთი-ოთხად ისარგებლებს ამ კუნძულისაგან.

# უცხო ქვეყნები

### საფრანგეთი

იმ „ნაციონალური დღესასწაულის“ სახსოვრად, რომელიც 18 (30) ივნისს იყო პარიჟში, მთავრობას გამოუცია მანიფესტი, რომლის ძალითაც თითქმის 2,000 სხვა-და-სხვა დანაშაული გაუნთავისუფლებია საპყრობილეებიდამ. ამ რაცხვიდამ 800 კაცამდინ ისეთი დანაშაულებიც არიან განთავისუფლებულნი, რომელთაც 1870 წლის პარიჟის არეულობაში (კომუნაში) მიიღეს მონაწილეობა.

— მარსელში და ზოგიერთ სხვა ქალაქებში ამას წინათ დიდი უწესოება მომხდარა კლერიკალებსა და რესპუბლიკელებს შუა. მარსელში, სხვათა შორის, ამ ორი პარტიის ხალხი ქუჩებში შეტაკებულან, საშინელი ცემა-ტყეპა მოსვლიათ, ერთმანეთის სადგომების კარები და ფანჯრები ჩაუმტვრევიათ; ბოლოს ჯარი და პოლიცია ჩარევია და როგორც ყოფილა გაუშველებიათ.

### ოსმალეთი

გაზეთებში გამოცხადებული იყო ამას წინათ, რომ ოსმან-ფაშა სადღაც გაჰქრა სტამბოლიდამ და, როგორც ამბობენ, ხონთქარმა საიდუმლოთ გაგზავნა ის სადმეო. ახლა აღმოჩნდა, რომ ოსმან-ფაშა მშვიდობით და უვნებელად იმყოფება; რამდენიმე დღის განმავალობაში, ხონთქრის ბრძანებით, ის მუდამ დღე ერთს ხომალდზე ათევდა თურმე ღამეს და გადამდგარ ხონთქარს მურადს უყარაულებდა, არავინ გაათავისუფლოსო, რადგან სულთანს ეშინოდაო, რომ არავინ დაიხსნას იქიდამ და ტახტი არ წაართვასო.

# ნარევი

ამ წელს საფრანგეთში და შვეიცარიაში დიდის ამბით აპირებენ გამოჩენილის მწერლისა და ფილოსოფოსის ჟან-ჟაკ რუსის ასი წლის იუბილეის. (ასი წელიწადი შესრულდა წელს, რაც ის მოკვდა). პარიჟში ლუი ბლანთან მოგროვილან რამდენჯერმე იქაური მოწინავე მწერლები და აგრეთვე ნაციონალური კრების დეპუტატები და სანატორები და ჰქონიათ მოლაპარაკება იმაზედ—თუ როგორ უნდა იდღესასწაულონ ჟან-ჟაკ რუსსოს დღესასწაული.

***

პარიჟის გაზეთებში იწერებიან, რომ ამ მოკლე ხანში იქ მისულა ერთი მექსიკანელი მდიდარი კაცი, რომელსაც

წელიწადში ორი მილიონი მანეთი აქვს თავის მამულისა და კაპიტალისაგან შემოსავალიო. ამ კაცმა იუკადრისა თურმე სასტუმროში დადგომა, თუმცა პარიჟში მხოლოთ რამდონიმე დღით მისულა, უყიდნია ამ რამდონიმე დღისათვის ცალკე სახლი, მდიდრულად გაუმართავს და იმაში დამდგარა.

*
* *

ამ მოკლე ხანში ბერლინში იქნება გამოფენა ქაღალდისაგან გაკეთებულის ნივთებისა. გაზეთებში იწერებიან, რომ ამ გამოფენაზე სხვათა შორის, იქნება ქაღალდის სახლიო, რომლის ყველა ნაწილები, მებელი და სხვა სულ მარტო სხვანაირად დამზადებულის ქაღალდისაგან იქნება გაკეთებულიო.

*
* *

პარიჟში ყოფნის დროს სპარსეთის შაჰს სხვა-და-სხვა პირებისაგან მოსვლია თურმე ბევრი თხოვნა და აგრეთვე წინადადება—თუ ამა-და-ამ საქმის გაკეთება შემიძლიან და თუ ფულებს მომცემთ, წამოვალ თქვენს ქვეყანაშიო. ყველა ეს თხოვნა რომ დაეკმაყოფილებინა სპარსეთის შაჰს უკანასკნელი 20 მილიონი მანეთი დაეხარჯებოდაო.

პარიჟიდამ შაჰი, სხვათა შორის, ფონტენებლოში წავიდა, სადაც ორი დღე დარჩა. ერთს პარიჟულ გაზეთში მოყვანილია ანგარიში, რომელიც სასტუმროს პატრონს წარუდგენია შაჰისათვის: ყვავილებში გამოურთმევია — 500 მან., 20 წიწილაში 130 მან., ერთს სიგარაში 2 მან., 4 ოთახის ქირა ორ დღეში—65 მან., 12 ატამში., 40 მან., ერთს ნესვში—18 მან. და სხვ.

თუ ყველგან ასე ახდევინეს, მაშ გასაკვირველი არ არის, რომ იწერებიან, რომ სპარსეთის შაჰიმ 36 ყუთი ოქროთ სავსე წამოიღო თეირანიდამ, როდესაც ევროპისაკენ გამოემგზავრა და პარიჟიდამ რომ უკან დაბრუნდა, 11 ყუთის მეტი აღარა აქვსო.


# განცხადებანი

ქალაქის საავათმყოფოსაგან

თფილისის ქალაქის საავათმყოფო კანტორა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, თანახმად სამოქალაქო საავათმყოფოებისათვის დადგენილის წესდების § 3 მუხლისა, ხსენებულს საავათმყოფოში ავათმყოფები მიიღებიან: ზაფხულობით დილის 7 (შვიდი) საათიდამ და ზამთარ დილის 8 (რვა) საათიდამ ვიდრე დილისავე 10 (ათ) საათამდინ. თუ აუცილებელი საჭიროება იქნება, ავათმყოფების მიღება სხვა დროსაც შეიძლება.

(3—1)

ამ თვის 15-ს გაიხსნა თფილისში

## ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ დუქნებში, № 2.

გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

ისყიდება თფილისში „ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში“ ქართული

## „სამზარეულო წიგნი“

შედგენილი კნა ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

ისყიდება თფილისში „ცენტრალური წიგნის მაღაზიაში“ ქართული სამზარეულო წიგნი“. შედგენილი კ-ნ. ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

გამოვიდა და ისყიდება

„ცოლი ვიტირო, თუ ფულები?“

კომედია ალ. თუთაევისა

ისყიდება: ქალაქში—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თელავს—იოსებ კუზმანაშვილთან, ქარელს—დავით ქეროჩაშვილთან, ხაშურისა და ბეჟათუბნის უჩქეტში, სურამს — ზაქარია არუწოვთან, ქუთაისს—იაკობ ოჰანეზოვთან და სტ. ცერაძესთან ფოთში—ელისბარ ბაბალოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თაქთაქოვთან, საქაშეთს—თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრისხევს—მასწ. მოსე ნათაძესთან, გორში—სტ. ზომოევთან და თვითონ ავტორთან.

გამოვიდა და ისყიდება

## „თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული შრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მესხისაგან.

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნის მაღაზიებში, ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

ვისაც ჰსურს მოიპოვოს **ახალი კევრი** შეუძლიან მიჰმართოს ნ. ავალიღვილს, (ქუკიაში, ელისავეტინსკი-ქუჩაზე, № 108), რომელიც კისრულობს ამ კევრების გაკეთებინებას თავის ხელმძღვანელობით.


| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი | 6 | 57 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 9 | 83 | | | | | | |
| ახ.-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

## ტელეგრაფი

| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

## ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 8 |

## მაზარდა

| თფილისი, 8 ივლისს. | მან | კაპ |
|---|---|---|
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ. | 1 | 40 |
| ფქვილი წითელი | 1 | 30 |
| ქერი ფუთი | 1 | 20 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი | 7 | — |
| — ამერიკისა, ფუთი | 7 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 8 | — |
| — თარაქამისა ფთ. | 4 | — |
| აბრეშუმი ნუხური ხტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი. | 6 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 9 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | 80 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 90 |
| — ცხვრისა, ლიტრა | — | 90 |
| სპირტი, ვედრო | 5 | 20 |
| შაქარი, ბროც. ფუთი | 7 | 80 |
| — ფხვნილი ფუთი | 6 | 40 |
| ყავა გრგვალი, გირვ. | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 13 | — |
| თამბაქო, საშუალო ფუთი | 8 | 50 |

## თფილისის სამკურნალო

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.

**ორშაბათს:** ქიუჩარიანც—ხირურგი, გარალევიჩი—შინაგ. ავათმყ.

**სამშაბათს:** ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და გახუტონი—ბებიობის თვალის.

**ოთხშაბათს:** ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ., ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.

**ხუთშაბათს:** ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფ. გავრინსკი—თვალის და ობრეხტი—კბილის.

**პარასკევს:** ვერმიშევი—შინაგ. ავათმყოფ. გახუტოვი და ქიუჩარიანცი.

**შაბათს:** ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის., რეიხი—თვალის ავათმყოფ. და ბაკიტი—გულის და ნერვების.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Іюля 1878 г. Типографія Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.